ბრძანება:**ბ36.362034410**

თარიღი:**09/12/2020**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „ ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში წარმოდგენილი უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით 2020 წლის 09 დეკემბერს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი (ლოტის განაცხადის № 113642QJW68835520; 113642QJW68835620; 113642QJW68835720;113642QJW68835820).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ავთანდილ ჩხაიძეს (პ/ნ 33001062433);

3. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 9 დეკემბრის 14 საათიდან 2020 წლის 18 დეკემბრის 16 საათამდე პერიოდი;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი